

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება -კონსერვატორები“-ს მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1


2018 წლის 02 თებერვალს შედგა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -კონსერვატორები“-ს წევრების მ.მარკოზაშვილისა და გ.ქიზიყელაშვილის შეხვედრა სოფელ ლეჩურის მოსახლეობასთან.

შეხვედრას დაესწრო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, საუბარი შეეხო სოფელში მიმდინარე პრიორიტეტულ პრობლემებს. გამოიკვეთა, რომ წლების მანძილზე ლეჩურის მოსახლეობას სასმელი წყლის ნაცვლად მიეწოდება ტექნიკური წყალი და შესაბამისად სასმელად შეუძლებელია მისი გამოყენება.

სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოსახლეობას უწევს საკმაოდ შორი მანძილიდან, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. ასევე გამოიკვეთა სოფელში ნაგვის ურნების სიმცირე და მოსახლეობამ ითხოვა დამატებით 1 (ერთი) ურნის გამოყოფა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფრაქციის წევრები დაპირდნენ მოსახლეობას უშუამდგომლონ თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

ფრაქციის თავმჯდომარე



მ. მარკოზაშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე



გ. ქიზიყელაშვილი